

# თემიდა

**№-1**


**საქართველოს დემოკრატიული პარტიის პატიმართა უფლებების დაცვის უწყების გაზეთი 1989 წლის 15 დეკემბერი**


თ ა ნ ა მ ე მ ა მ უ ლ ე ნ ო !

გაზეთ "თემიდას" პირველი ნომერი დახაზავს აძლევს ახალ არაპერიოდულ გამოცემას. როგორც ვიცით თემიდა ძველ ბერძნულ მითოლოგიაში წარმოადგენდა მართლმსაჯულების ქალღმერთს. აქედან გამომდინარე, გაზეთი მიზნად ისახავს გამოააშკარაოს და ხალხის სამსჯავროზე გამოიტანოს ყველა ის უსამართლობა, რომელსაც სჩადიან ქალღმერთ თემიდას ვაი მსახურნი.

გაზეთი "თემიდა" არ იქნება კონიუნქტრული გამოცემა იგი დაფუძნება ჭეშმარიტი რწმენის ისეთ გაუხუნარ პრინციპებს როგორიცაა: ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები და სამართლიანობის აღდგენა.

ამ გაზეთში წარმოდგენილი პუბლიკაციები დაიბეჭდება პირველწყაროდან მოწოდებულ მასალებზე დაყრდნობით.

ჩვენ ცალკე რუბრიკად გამოვყოფთ მკითხველების წერილებზე აგებულ იმ ინფორმაციას, რასაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, აგრეთვე მიზნად ვისახავთ დამყარდეს უშუალო კონტაქტი მკითხველსა და გაზეთს შორის.

გაზეთ "თემიდას" შემოსავლის გარკვეული ნაწილი მოხმარდება უსამართლოდ რეპრესირებულ ადამიანებს.

ველით თქვენს წერილებს, რჩევას კრიტიკას.

" რაც ხატად ვიწამე "

ათასი წვრილმანით,
ყურის წაკრუებით,
საქმეთა ყალბი ანკეტით,
ათასი აკრძალვით,
სიჩუმით, ლუმილით,
საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვით,
გაქარწყლდა ღიმილი,
შეირყა კედელი
რწმენის და სიკეთის რაზის,
არ ვიცი ვისთან ღირს
დავა და ჩივილი....
გული მაქვს დაღლილი, ნაომი ....
რაც ხატად ვიწამე,
ყველა გამიქარწყლდა!
ვინც ღმერთად ვიწამე,
ყოფილა სატანა!
და შევრჩი მიწაწყალს,
ვით ვერხვი ობოლი,
ტოტებდალეწილი ....
აწ არა მინდა რა ....
რა ძნელი ყოფილა
სიმართლის მიგნება,
შიშით და მუქარით ალივსო ზეცა...
და მაინც მჯერა, რომ
---- მშვიდობა იქნება!
ღმერთო, ნუ გარდაქმნი
ალალ კაცს მხეცად!!

ლია სვანიძე
1989წ. თბილისი

## შაოსანთა აქცია

ა/წ 16 ნოემბერს ქ.თბილისში სამხატვრო გალერეის წინ დაიწყო შაოსანთა აქცია, რომელიც დღემდე გრძელდება. პირველ დღეს გამოცხადდა შიმშილობა და წამოყენებული იყო მოთხოვნა, რომ სესიაზე დასწრებოდა 2 წარმომადგენელი და საჯაროდ წაკითხულიყო შაოსანთა საერთო განცხადება, გამოყოფილიყო კომისია "სამართალდამცავი" ორგანოების კანონსაწინააღმდეგო მოქმედების შესასწავლად. შიმშილობა შეწყდა იმის გამო, რომ სესიამ დაავალა პრეზიდიუმს შექმნილიყო სპეციალური კომისია /კომისიის თავჯდომარე ნ.ნათძე/, მაგრამ მჯდომარე აქცია მაინც გაგრძელდა შემდეგი მოთხოვნებით:

I. პრესისა და ტელევიზიის საშუალებით, რომ მომხდარიყო აქციის მნიშვნელობის და დანიშნულების ფართო გაშუქება.

2. დაუყოვნებლივ შევხვედროდით კომისიის ყველა წევრს.

რადგან ხელისუფლებამ ყურად არ იღო ჩვენი მოთხოვნები იძულებული გავხდით გაფიცვის მე-I3 დღეს გადავსულიყავით ჯაჭვურ შიმშილობაზე, რომელიც გაგრძელდება ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე. ხოლო მჯდომარე აქცია გაგრძელდება მანამ, ვიდრე კომისია არ განიხილავს გადაცემულ ყველა საქმეს.

გაფიცვის დღეებში ჩამოყალიბდა უსამართლობასთან მებრძოლი კომიტეტი I0 კაცის შემადგენლობით, რომელიც მომავალშიც შეეცდება იმუშაოს და მხარში ამოუდგეს ყველას ვისი პიროვნული უფლებებიც ირღვევა.

აქციაში მონაწილეობას იღებს საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოსული 65 შვილმოკლული დედა, რომლებმაც მთელი კავშირის მასშტაბით ვერ ჰპოვეს სამართალი. ყველაზე ხანდაზმული აქციის მონაწილე 80 წლისაა, ახალგაზრდა კი 28 წლის. /ყველაზე ხანდაზმული სისხლის სამართლის საქმე არის I2 წლის, ყველაზე ახალი კი 4 თვის. მოკლულები არიან ახალგაზრდები I5 დან 35 წლის ჩათვლით/.

შაოსნების მისია.

აქცია მიზნად ისახავს კონკრეტული ფაქტების შესწავლა-გამოაშკარავებას, უსამართლობის სრული სახის წარმოჩენას ე.წ. საბჭოთა კავშირში. ჩვენ გვაწუხებს არა მხოლოდ ჩვენი ტკივილი არამედ მთლიანი ერის ტკივილი და დავსტირით არა მხოლოდ ჩვენს მოკლულ შვილებს არამედ ყველას, ვინც უსამართლობას შეეწირა წლების მანძილზე და ვინც შეიძლება მომავალშიც გახდეს მისი მსხვერპლი.

სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება არ შეიძლება უსამართლო სამართლით, ამიტომ ვაცხადებთ: მკვლელზე უფრო საშიში მკვლელია ის ვინც მათ მფარველობს, ვინც მოკლულთა სისხლს ყიდის თავისი კეთილდღეობისათვის. ჩვენ მოვითხოვთ რესპუბლიკის პროკურორის რაზმაძისა და უმაღლესი სასმართლოს თავჯდომარის კარანაძის, თავისი მაფიოზური კასტებით გადაყენებას და დასჯას.

დღეს დღეობით ჩვენს მოთხოვნას შემოუერთდა 50000 მეტი ადამიანი, რომლებმაც თავისი თანადგომა დაგვიდასტურა ხელმოწერით.

უსამართლობასთან მებრძოლი კომიტეტი



მიდელაშვილი ზურაბ გივის -ძე
15 წლის.

1986 წლის 17 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში გავიდა სახლიდან თანაკლასელებთან ერთად. ვიპოვეთ მეორე დილით მცხეთის რ-ნის სოფ. ძალისის დამამზადებელ პუნქტში ელ. სადენზე ჩამოკიდებული. ყელზე ეხვია სხვისი პერანგი, რომელიც სისხლით იყო დასვრილი /ვის ეკუთვნის სისხლი ჯერ კიდევ დაუდგენელია/. ბავშვი ორივე მუხლით დაჩოქილ მდგომარეობაში იმყოფებოდა. იქ, სადაც ნაპოვნი იყო გვამი, არ არის არავითარი ძალადობის კვალი. ე.ი. გვამი მიტანილი იქნა დანაშაულის დაფარვის მიზნით, მკვლელმა ან მკვლელებმა მოაწყვეს თვითმკვლელობის ინსცენირება.

შემთხვევის ადგილზე მივიდნენ მცხეთის რ-ნის მილიციის უფროსი ორთოლაშვილი და პროკურატურის გამომძიებელი ჯაბაური, რომლებმაც ზემოთ მოყვანილ ფაქტებზე თვალები დახუჭეს და არ ჩაატარეს ექსპერტიზა. გვამი დასაფლავებული იქნა გაკვეთის გარეშე და მხოლოდ 3 თვის შემდეგ 1986წლის II ნოემბერს, ჩვენი დაჟინებული თხოვნით, ჩატარებულიყო სამედიცინო ექსპერტიზა, გვამი იქნა ამოღებული და გაკვეთილი. გვამის ექსპერტიზის შემდეგ ის ორგანოები, რომლითაც მტკიცდებოდა სიკვდილის ნამდვილი მიზეზი, ამოკვეთილი იქნა და 8 დღის განმავლობაში ჰქონდა დამალული გამომძიებელ ჯაბაურს/აგრეთვე ჯაბაურს დამალული ჰქონდა 2წელი და I3 თვე ის სისხლიანი პერანგი, რომელიც გვამს ყელზე შემოხვეული ჰქონდა და რომელზედაც არ ჩატარებულა ექსპერტიზა სისხლის ჯგუფის დასადგენად/. ჩვენთვის უცნობი იყო ბავშვის სიკვდილის ნამდვილი მიზეზი. ამიტომ მივმართეთ მცხეთის რ-ნის სამედიცინო ექსპერტს/ოქრუაშვილს, მაისაშვილს, მათიაშვილს/ მათ კი გვიპასუხეს, რომ გვამი იყო გახრწნილი და ვერ შეძლეს დაედგინათ სიკვდილის ნამდვილი მიზეზი. ვკითხეთ რატომ არ იყო სათესლე ჯირკვალზე ექსპერტიზის დასკვნა, რადგან ჩვენ ვიცოდით, რომ მასზედ აღინიშნებოდა სისხლჩაქცევები. მათ გვიპასუხეს, რომ ვინაიდან სათესლე ჯირკვალზე არ აღინიშნებოდა არავითარი სისხლჩაქცევები ამიტომ იგი დატოვეს მაგიდაზე, შემდეგ კი ლაბორატორიის გამგესთან ერთად ეძებდნენ ქუჩაში და ბოლოშიც მოგვიხადეს, დაგვიწყებია ექსპერტიზის ჩატარებაო.

ბოლოს საქმე გადმოიტანეს ქალაქის პროკურატურაში. იქაც ვერ მივაღწიეთ სამართალს. ჩავედით მოსკოვში, სამართლის ძებნაში დაახლოვებული შვილმოკლული დედები/32ადამიანი/. იქაც ყველა ინსტანცია გავიარეთ მაგრამ სამართალი მაინც ვერ ვიპოვეთ. ამიტომ დავტოვეთ პასპორტები და უარი განვაცხადეთ საბჭოთა მოქალაქეობაზე/1988წლის I6აგვისტოს/. I7 აგვისტოს მოვაწყვეთ მსვლელობა წითელ მოედანზე. ჩვენს აქციას ბლოკირება გაუკეთა საქართველოს მარიონეტულმა მთავრობამ /ეპიტაშვილის ხელმძღვანელობით/ და გამწარებული დედები " შავი ვარონებით" წაგვიყვანეს ციხეში, ერთი დღის შემდეგ იგივე "შავი ვარონებით" პირდაპირ ტრაპთან ჩამოგვსვეს და გადმოგვაფრინეს თბილისში. აქ შავი 24-ებით /დიდი პატივისცემით/ დაგვხვდნენ და მიგვიყვანეს ძერჟინსკის სახელობის კულტ. სახლის დარბაზში. შეხვედრა მოგვიწყვეს ქალაქის პროკურორ რაზმაძესთან და უმაღლესი სასამართლოს თავჯდომარე კარანაძესთან, რომელიც დაფიქსირებულია ტელევიზიის მიერ.

საქმე მიებაშია რესპუბლიკის პროკურატორის გამომძიებელ კობახიძესთან, მოვითხოვთ საქმის ობიექტურად წარმართვას.

ნ. მიდელაშვილი



ვარაზანაშვილი ვაჟა გიორგის- ძე
34 წლის.

სახელმწიფო ხელისუფლებაში მოკალათებულმა მაფიურმა ჯგუფმა, მილიციის უგუნური მუშაკის, ოფიცერ თამაზ სოხიშვილის ხელით 9 ივლისს სიცოცხლეს გამოასალმა სამი შვილის მამა, ვაჟა გიორგის - ძე ვარაზანაშვილი. მაფიის თავკაცმა სიღნაღის რ-ნის პარტკომის პირველმა მდივანმა თამაზ ქევხიშვილმა რაიპროკურორის თანაშემწე თეიმურაზ ლაზარიაშვილმა, მას შემდეგ რაც მხილებულნი გახდნენ ქრთამის აღებით თანამდებობაზე დანიშვნაში, პიროვნების უსაფუძვლო დაპატიმრებაში და მის განთავისუფლებაში, უზარმაზარი თანხის გამოძალვაში, დაიყოლიეს რესპუბლიკის პროკურატურის თანამშრომლები გიოშვილი და ყაჯრიშვილი, საგამოძიებლო ნაწილის ზოგერთ ხელმძღვანელთა და რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილის ნ. შოშიაშვილის წაქეზებით, რესპუბლიკის პროკურორის წაყრუებით. მათ წარმოებაში არსებული, წნორის ავტოტექმომსახურების სადგურის თანამშრომელთა მიმართ, სისხლის სამართლის საქმე ორი წლით შეაჩერეს /ვინაიდან იმხილებოდა მაფია/. ამ გარემოებამ მაფიურ ჯგუფს შეუქმნა რწმენა ყოვლისშემძლეობისა და მათ წინააღმდეგ აღმდგარი პიროვნების ფიზიკურად მოსპობისათვის დაუსჯელობის, ანარქიის, განუკითხაობის და ძალმომრეობის კანონებით მოქმედებისა. შედეგიც სახეზეა 9 ივლისს " კანონის დამცველის ხელით სიცოცხლეს გამოასალმეს ახალგაზრდა კაცი.

ვ. ვარაზანაშვილი მუშაობდა წნორის ავტოტექმომსახურებაში, იგი დააპატიმრეს, ბრალად ედებოდა დიდი რაოდენობით სახელმწიფო ქონების გაფლანგვა/თანხა დააფარინეს/. დროთა განმავლობაში გაირკვა, რომ ვარაზანაშვილი უდანაშაულო იყო და გაანთავისუფლეს, რეაბილიტაციის შემდეგ იგი მოითხოვდა გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას და ეს მოთხოვნა, იქცა მისი სიკვდილის განაჩენის გამოტანის მიზეზად.

რესპუბლიკის პროკურატურამ "მშვენივრად" გამოიყენა ვარაზანაშვილის მკვლელობის ფაქტი და მიუხედავად მისი სარეაბილიტაციო მოტივებისა, სასწრაფოდ შეწყვიტეს საქმის წარმოება ბრალდებულის გარდაცვალების გამო და ყველას დანაშაული გადაბრალეს მოკლულს. ამ მოქმედებით მათ საბოლოოდ ჩამოიხსნეს წილაბი მართლმსაჯულებისა. თუ 9 აპრილს მილიციელთა ცოცხალი კედელი იცავდა ქართველ ხალხს ბარბაროსებისაგან, 9 ივლისს მილიციის უგუნური მუშაკი ხდება სახელმწიფო მაფიური ჯგუფის ბრმად შემსრულებელი.

ი. ვხოველიშვილი



არჩვაძე მაია გალაქტიონის- ასული
21 წლის.

1989 წლის 12 აგვისტოს წავიდა სამსახურში და აღარ დაბრუნებულა მეორე ცვლიდან. 13 აგვისტოს განვაცხადეთ ლენინის რ-ნის მილიციაში. ძებნა ევალებოდა კარლო ბოკუჩავას. ორი დღის შემდეგ ნაპოვნი იქნა ლისის ტბაზე. რომელსაც აშკარად ემჩნეოდა წამების კვალი. მორგში გვამის გადასვენების დროს არ იყო შედგენილი არავითარი ოქმი და ადგილზე არ იყო გადაღებული სურათები. 22 აგვისტოს, ჩვენს გარეშე, ღამით დაასაფლავეს მუხათგვერდის სასაფლაოზე, როგორც უპატრონო. მიუხედავათ იმისა გამოცხადებული იყო ძებნა. ბავშვი ვიპოვეთ 27 აგვისტოს, მუხათგვერდის სასაფლაოზე შიშველ მდგომარეობაში, რომელსაც ეხვია ბუზი და ფრინველი. დამტკიცდა, რომ გვამი ამოილო გამომძიებელმა გია ქირიამ. როდესაც მოვითხოვეთ გვამის გადასვენება სახლში, მილიციის თანამშრომლებმა მოგვთხოვეს 2000 მანეთი და "ცინკის" კუბო. იმ შემთხვევაში თუკი ჩვენ მოვითხოვდით გვამის შესამოწმებლად ექსპერტიზას, მაშინ საერთოდ არ გაგვატანდნენ, რადგან აცხადებდნენ, რომ "მათ აწერიათ მიცვალებული". ჩვენ დავთანხმდით იმ მიზნით, რომ გამოგვეგლოვა საკუთარი შვილი. ამ ფაქტის გარშემო საქმე მხოლოდ ორი თვის შემდეგ აღიძრა. საქ.სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 109 მუხლით /თვითმკვლელობა/. პროკურატურის კოლეგიის შემდგომ ვ.რაზმაძემ აღძრა საქმე 105 მუხლით /განზრახ მკვლელობით/. საქმე ისევ დაუხურავია და მკვლელები დაუსჯელები არიან

მოკლულის დედა: ლ.არჩვაძე



ჯავრიდ ბუჭას -ძე ფიფია.

1986 წლის 30 სექტემბერს ზუგდიდის შინაგან საქმეთა განყოფილებაში /სამი დღის განმავლობაში/ ცემით მოკლეს ჯავრიდ ბუჭას - ძე ფიფია. დანაშაული მოხდა მილიციის დახურულ შენობაში, სადაც მოწმეები და ბრალდებულები იყვნენ მილიციის მუშაკები. დამნაშავეებმა 31 დაზიანება მიაყენს სხეულის სხვა და სხვა ადგილზე, რაც დასტურდება სამედიცინო სასამართლო ექსპერტიზის მიერ. რესპუბლიკის პრკურატურამ მომხდარ ფაქტს გვერდი ვერ აუარა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა ზუგდიდის სამძებრო განყოფილების უფროსი კიტია და კეზუა, ხოლო მთავარი დამნაშავეების მიმართ საქმე საწარმოებლად ცალკე გამოყო. საქმის გაყოფა დანაწევრებამ საშუალება მისცა პასუხისგებაში მიცემულ პირებს ასევე იმ პირებს, რომელთა მიმართ საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო თავი აერიდებინათ სრული პასუხისმგებლობისათვის / რომელსაც მიაღწიეს კიდეც / გაჭიანურებული ძიების შემდეგ საქმე განსახილველად გადაეცა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს. რომელიც დაინიშნა 1988 წლის 8 ოქტომბერს, განხილვის შემდეგ საქმე ისევ დაუბრუნდა რესპუბლიკის პროკურატურას. დამატებითი ძიების მიმდინარეობის დროს რესპუბლიკის პროკურატურამ ნაცვლად იმისა ძიება წარემართა სწორედ, გამოეაშკარავებინა დამნაშავეები, მოწმეებს და დაზარალებულებს მუქარით, იძულებით, შეაცვლევინეს ჩვენებები დამნაშავეების სასარგებლოდ. 1988 წლის 30 ივლისს დანაშაულის დაუდასტურებლობის მოტივით ბრალდებულების ვ. კიტიას და ვ. კეზუას მიმართ რესპუბლიკის პროკურატურამ საქმე შეაწყვეტინა, ხოლო ჩემი ძმის მკვლელობის საქმე წარმოებით შეაჩერა. დღეისათვის ყველა დამნაშავე პირი აღდგენილია სამუშაო ადგილებზე.

მოვითხოვთ გაუქმდეს: უკანონოდ გამოტანილი საქმის შეწყვეტის დადგენილება, აგრეთვე საქმის განახლების და გამოძიების ობიექტურად წარმართვას.

ჯ. ფიფია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პატიმრის წერილი

ძვირფასო თანამემამულენო მე არ მინდა დავიჯერო ის,რომ ჩვენს ერში არ არიან ისეთი ადამიანები - ვისაც აქვთ იურიდიული განათლება და სამართლის დაცვის არ ეშინიათ,ემსახურებიან მხოლოდ სამართალს.

მე მწამს,რომ არიან ასეთი ადამიანები. ამიტომ მოგმართავთ და გთხოვთ,მათ-ვისაც გაქვთ იურიდიული განათლება,რომელთაც არ გეშინიათ ზოგიერთი კარგსკამდაკავებული უკანონო პირების,დაიცვათ ჩემი ინტერესები კანონიერად და სამართლიანად.

მე უდანაშაულო ვარ! ვინ დამიცავს მე?! ის ვისთვისაც შეგნება და სამართალი მატერიალიზმზე მაღლა დგას.

მინდა ორი სიტყვით მოგახსენოთ მდგომარეობა: დამაპატიმრეს 1988 წლის 6 აგვისტოს.ბრალად წამიყენეს ჯერ გამოძალვა,შემდეგ ყაჩაღობა.ეს მოხდა გორის რაიონში და საქმეს სასამართლოში იხილავდა გორის რაიონი.ჩემს ინტერესებს იცავდნენ ადვოკატები ქ.თბილისის კალინინის რაიონიდან ქ.ლარიბაშვილი /რომელიც რამდენჯერმე გაფორმების შემდეგ,გამიფორმდა პერსონალურად/ და ზ.როსტიაშვილი. ისინი მპირდებოდნენ რომ, აუცილებლად გამათავისუფლებდნენ,რადგან დარწმუნდნენ ჩემს უდანაშაულობაში და უკანონო ბრალდებაში.

შემდეგ კი მათ უკანონოდ, ხელი აიღეს ჩემს დაცვაზე და არც სთქვეს რატომ... კანონით მათ ამის უფლება არ ჰქონდათ და მითუმეტეს მორალურად.მაგრამ გაექცნენ სიმართლეს,რაღაც რეალური შიშის შეგრძნებით ალბათ.

ახლა ჩემს საქმეს იხილავს კასპის რაიონის სახალხო სასამართლო,მაგრამ ფაქტიურად ყველა სადავე ხელთა აქვთ, გორის რ-ნის საგამომძიებლო და პროკურატურის რამდენიმე,პირადი მოტივით დაინტერესებულ პირს. აღსანიშნავია,რომ ეს პირები,თავისი მდგომარეობისა თუ სხვა გავლენების წყალობით,პოულობენ ბევრ თანამზრახველსა და დამხმარეს.ეს კი იმიტომ ხდება,რომ გარდაქმნამ გამოავლინა ბევრი საჭირბოროტო საკითხი,იგი ჩვენში მიმდინარეობს რევოლუციურად,რამაც გამოიწვია საზოგადოების სხვადასხვა ფენების გაერთიანება - აზროვნებისა და საგნების თვალთახედვის მიხედვით.ამის გამო შეიქმნა არაფორმალური გაერთიანებები და პოლიტიკური პარტიები.ერთნაირად მოაზროვნე საზოგადოება გაერთიანდა ერთ ჯგუფად და შექმნა თავისი იდეოლოგია ყველა არაფორმალურ საზოგადოებათა მოწოდებებში,აზრთა განსხვავების მიუხედავათ,არის ერთი საერთო და დიდი მიზანი - საქართველოს დამოუკიდებლობა და სამართლიანობა.

გარდაქმნამ რა თქმა უნდა გააერთიანა ასევე ზოგიერთი ფორმალებიც,რომელნიც სკამის დაკარგვის საშიშროების წინ აღმოჩნდნენ და ზოგიერთი უკანონო მუშაკები,ყველა ღონეს ხმარობენ,რათა როგორმე შეინარჩუნონ უკანონოდ დაკავებული თანამდებობა და ასევე არ გაუშვან შესაძლებლობა მოსალოდნელი დაწინაურების.ასეთი ერთ-ერთი დაჯგუფების მსხვერპლი შევიქენი მე,ადეიშვილი და კოტორაშვილიც. "დაჯგუფების" - ამას იმიტომ ვამბობ,რომ მათ გამოავლინეს უკვე თანამზრახველთა გარკვეული რაოდენობა,რომელნიც მუშაობდნენ და მსახურობდნენ სხვადასხვა მნიშვნელოვან თანამდებობებზე. ასევე გვპირდებიან და გვაშინებენ,რომ თუ არ გავჩერდებით და ჩვენი საქმე დაუბრუნდება ისევ ძიებას ,ამ შემთხვევაში მათ ყავთ თანამზრახველნი და მათი დახმარებით,ისინი ჩვენ გადაგვიყვანენ მილიციის სამმართველოში ან სამინისტროში. იქ კი ისე მოგვექცევიან, რომ არათუ ეს ყალბად შექმნილი ბრალდება,არამედ კიდევ რაიმეს დავიბრალებთ.

მე არ მეშინია არაფრის და მზად ვარ მსხვერპლად შევეწირო დიდ საქმეს-სამართლიანობას. ამიტომ მიმაჩნია და მოგიწოდებთ ყველას,როგორც მმართველ კომუნისტურ პარტიას,ასევე ყველა ახლად შექმნილ პარტიებს, რომ ყველამ ერთობლივი ძალისხმევით გაილაშქროთ და აღკვეთოთ უსამართლობა თანამდებობის პირთაგან.რადგან ეს შეჯგუფებები,ჩქარა ისეთ მასშტაბებს მიიღებენ რომ ჩამოყალიბდება ეგრეთწოდებული "მაფია".ამიტომ გთხოვთ ხმა აიმაღლოთ ყველამ და დროულად ძირშივე აღკვეთოთ ასეთი უსამართლობანი და პირების უკანონოდ მოქმედება.მიმაჩნია რომ,როგორც მმართველი კომუნისტური პარტია,ასევე ყველა პოლიტიკური პარტია,ვალდებულია შეამოწმოს ჩემი ნათქვამის სინამდვილე და წინ აღუდგეს უკანონობას.დაინტერესებული პირები ყველა ღონეს იხმარენ ჩემი ხმის ჩასახშობად.ამიტომ გთხოვთ შექმნათ ჯგუფი კომისიის სტატუსით და მე ამ კომისიას დავუმტკიცებ ზემოთ მოყვანილის სიმართლეს.

მჯერა, ამას გააკეთებთ იმ მიზნით,რომ შემდეგშიაც არ გაგრძელდეს უკანონობა და ხალხის ჩაგვრა. ღრმად მწამს საზოგადოების სამართლიანი აზროვნების და მოქმედების.

პატივისცემით: თ.ალავიძე.






# ვინ დაიცავს მას

---- ეს წერილი კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, რომ ჩვენ არასამართლებრივ სახელმწიფოში ვცხოვრობთ და ცხადყოფს მთელის თავისი კონკრეტულობით, ---- სამართლის დამცველნი, ჰმ.... თვითონ გახლავან უსამართლობის მსახურნი! ეს ხომ, ---- იტყვის რიგითი მკითხველი თ. ალავიძის წერილის გაცნობისას, ---- ჩვენი "ჰუმანური" საბჭოური ცხოვრების ტიპიური მაგალითიაო?!

ჩვენ რა თქმა უნდა, ყველას გვინდა გვჯეროდეს, რომ თ. ალავიძე უდანაშაულოა. ჩვენს ამ სურვილს ჰბადებს წერილი -მიმართვის არა კერძო ხასიათი, ანუ, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ,---- მისი , ავტორის ადრესატია "ძვირფასი თანამემამულეები " ---- ქართველი ხალხი /გინდა ერი /. ეს კი ბევრს ნიშნავს. რატომ ნიშნავს ბევრს?! მივმართოთ ამგვარ მარტივ მსჯელობას: ქურდმა და ყაჩაღმა კარგად იცის რა მოლიპულ გზასაც ადგას და აქედან გამომდინარე, პატიოსანი ცხოვრების ცნება მასშიც ძალუმად ფეთქავს, რაზედაც მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ არც ერთ ქურდს არ უნდა თავისი შვილიც ქურდი გამოვიდეს,/ უკვე აღარას ვამბობთ ყაჩაღობაზე/ რადგან ეს ასეა და ქურდს ქუდი ეწვის, შეუძლებელია ამ უკანასკნელმა თავდახსნის მიზნით უმაღლესი ცნება და საგანი შეაწუხოს, ----ხალხი /გინდა ერი/.

დიდი რუსი მოაზროვნისა და მწერლის დოსტოევსკის არ იყოს --- ხალხი ღმერთის სხეულია, ღმერთს კი ვერ მოატყუებ. ხოლო, რამეთუ ღმერთს,- ანუ ერსა და ბერს,-ვერ მოატყუებ, დამნაშავე მსგავსი მიმართვის დაწერას, როგორიც გახლავთ წინამდებარე დოკუმენტი, არა თუ ვერ გაბედავს და ვერ იკადრებს არამედ, უბრალოდ რომ ვთქვათ- აზრი არ აქვს. ასე რომ თ.ალავიძე, რომელიც იძულებული გამხდარა დახმარებისათვის ქართველ ერს მიმართოს, უდანაშაულო უნდა იყოს. ხალხო, რა საკვირველია ზოგადი ცნებაა და ამ შემთხვევაში მიმართვის ადრესატებად უნდა ჩაითვალოს ყველა ის პარტია თუ გაერთიანება /ფორმალური თუ არაფორმალური/, რომელთაც პრეტენზია აქვთ, რომ გამოხატონ ხალხის ნება სურვილები. რამეთუ ამგვარი პრეტენზიის გარეშე არ არსებობს არც ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია თუ სხვა სახის გაერთიანება, წერილის ადრესატიც ეს უკანასკნელნი გახლავან. ამით ხაზს ვუსვამ მათ ვალდებულებებსაც. ეს გვეხება მეტადრე, ჩვენც-საქართველოს დემოკრატიულ პარტიას /"დემოს" ბოლოს და ბოლოს ხალხს ნიშნავს/. ასე რომ ეს ჩვენი გამოხმაურება წინა მდებარე მიმართვაზე, სწორედაც კანონზომიერი გახლავთ. რამეთუ ჩვენი ლაწვება სიმრთლესა და ობიექტურობასთან არის წილნაყარი /ყოველ შემთხვევაში ჩვენ ამას მაქსიმალურად ვცდილობთ/, არ შეიძლება არ ავღნიშნოთ რომ ზოგიერთ მკითხველს, დასაშვებია, ასეთი კითხვაც დაებადოს,-განა არ შეიძლება წერილის-მიმართვის ავტორი, თენგიზ ალავიძე, გულწრფელად სცდებოდეს, იურიდიულად დამნაშავე იყოს და ეს იურიდიული მხარე ვერ შეუცვნია, სწორედ?! არც ესაა გამორიცხული, ამიტომ ზემოთაც ავღნიშნეთ, ჩვენ გვინდა გვჯეროდეს მიმართვის ავტორის სიმართლე, უდანაშაულობა. მის სიმართლეში კი /გინდ დანაშავეობაში/ სამართლიანი სამართალი დაგვარწმუნებდა. მაგრამ რასა იქმ, როცა ჩვენში ნემსის ქურდს აქლემის ქურდები ასამართლებენ. ვინ არიან სამართლის ეს ვაი-მსახურნი, რაშია მათი ძალა? რაში და არასამართლებრივი სახელმწიფოს ბუნებაში.რით არიან ისინი აგრე გაზულუქებულნი, მედიდურნი, გალაღებულნი განა რითი ძმაო?! რითა და "მდაბალთ ჩაგვრით", მტაცებლობით და ხვეჭით". ეს ლიტონი მაღალფარდოვნება როდია,-დღეს რიგითმა ადამიანმაც კარგად უწყის ყოველივე. ბუნებრივია წერილი მიმართვის ნებისმიერი ფრაგმენტი პატიოსანი ადამიანების აღშფოთებასა და ავტორისადმი თანადგომას იწვევს. აი, თუნდაც ეს: "მე არ მეშინია არაფრის და მზად ვარ მსხვერპლად შევეწირო დიდ საქმეს სამართლიანობას. ამიტომ მიმაჩნია და მოგიწოდებთ ყველას ახლადშექმნილ პარტიეიებს,რომ ყველამ ერთობლივი ძალისხმევით გაილაშქროთ და აღკვეთოთ უსამართლობა თანამდებობის პირთაგან, რადგან ეს შეჯგუფებები ჩქარა ისეთ მაშტაბებს მიიღებენ, რომ ჩამოყალიბდება ეგრეთ წოდებული "მაფია". ძალზედ მცირე ეჭვები რჩება, იმისათვის, რათა არ ირწმუნო მაღალმოქალაქეობრივი პათოსი ავტორისა,----იგი თანახმაა მსხვერპლადაც კი შეეწიროს სოციალური სამართლიანობის სასწორს. განა ავტორის გულუბრყვილობას და დანაშაულებრივ სამყაროში მის გაურკვევლობაზე არ უნდა მეტყველებდეს ის ფაქტი, რომ მას "მაფია" ჯერ კიდევ არარსებულად მიაჩნია /ჩამოყალიბდებაო,-- წერს, მაგრამ "მაფია" ხომ დიდი ხანია არსებობს ჩვენში?!/ საერთო უბედურებად უნდა აღვიქვათ ის ფაქტიც, რომ თ. ალავიძეს /და ბევრია მისთანანი/ კვლავ სჯერა კომუნისტური პარტიის სამართლიანობისა განა ის "კარგსკამ" დაკავებული მომავალი მაფიოზები,--- რომლებზედაც ავტორი მოგვახსენებს,---- კომპარტიის წევრები არ გახლავან? იცის, რა თქმა უნდა, იცის ეს თ. ალავიძემ, მაგრამ მას გულუბრყვილოდ სწამს "პერესტროიკისა", რომელიც სხვა არაფერია თუ არა პოლიტიკური ჟონგლიორობა, რათა სიცოცხლე გაუხანგრძლივდეს ბოლშევიკურ იმპერიას, განა არ იცის ხალხმა, რომ კომპარტიაში, კომუნისტური რწმენის გამო კარგა ხანია აღარავინ შედის, რომ კომპარტიის ზედა ეშელონებს ქმნიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ყოველ დროსა და ყოველ ფორმაციაში ანტისაზოგადოებრივ ელემენტებს წარმოადგენენ! ესენი არიან კარიერისტები, მექრთამეები, მშობელი მიწის მტკაველ - მტკაველ გამყიდველები და ა.შ.

როცა ჩვენს თვალწინ ამ"გაგანია" დემოკრატიაში --"ჰუმანური" მართლმსაჯულების მიერ უდანაშაულო ადამიანი იწიხლება, რომელ დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის მცდელობაზე შეიძლება იქნეს ლაპარაკი?! ესაა ჩვენი ყბადაღებული გარდაქმნა?!

მ ე უ დ ა ნ ა შ ა უ ლ ო ვ ა რ !
ვ ი ნ დ ა მ ი ც ა ვ ს მ ე ?
მოგვმართავს სამართლის მაძიებელი კაცი ყველას, ყველას.

მართლაცდა ვინ დაიცავს მას?

დ. აფციაური

• • •

1989 წლის 11 დეკემბერს ქ. თბილისში 1-ლი საშუალო სკოლის წინ გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 41 -ე წლისთავს. მიტინგში მონაწილეობას ღებულობდნენ: საქართველოს დემოკრატიული პარტია, ეროვნულ დემოკრატიული პარტია, ქრისტიან დემოკრატიული კავშირი და საქართველოს მონარქისტული პარტია.

მათ დაგმეს სუკ-ის მოქმედებები, რომელიც აშკარად ბღალავს ადამიანის უფლებებს. მოეწყო მსვლელობა და მიტინგმა გადაინაცვლა სუკ-ის შენობის წინ. მიტინგის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ შეწყდეს სუკ-ის პროვოკაციები. მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ: ვაჟა მთავრიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, თენგიზ შარმანაშვილი, გიორგი ჭანტურია, ირაკლი კაკაბაძე, ბადრი გუგუშვილი ეროვნულ დემოკრატიული პარტიის უხუცესი წევრი პოლიო გოგელია და სხვანი.

# განცხადება

შაბას 1990 წლის 7 იანვარს საქართველოს დემოკრატიული პარტიის ინიციატივით ეწყობა საქველმოქმედო აქცია იგი ემღვნება პატიმრების უფლებების დაცვას.

მოვითხოვთ, რომ საქართველოდან შეწყდეს პატიმართა გაყვანა სასჯელის მოსახდელად და გაუმჯობესდეს პატიმართა პირობები თავისუფლების აღკვეთის ობიექტებში.

7 იანვარს დაგეგმილია პროდუქტების ორგანიზებული შეგზავნა საქართველოს ყველა საპატიმროში.

საქართველოს მოსახლეობას მოგიწოდებთ აქტიური მონაწილეობა მიიღოთ აქციაში.

აქციაში მონაწილეობის მსურველებს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ აქციის საორგანიზაციო ჯგუფს.

აქცია ტარდება სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა კურთხევით.

გაზეთ "თემიდას" რედაქციას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მისამართზე: თბილისი 380 062 გურამიშვილის ქ.№11 პირველი სადარბაზო ბინა № 11 აფციაური ლალი.